საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ბრძანება N 2-1208

ქ. თბილისი

05/08/2021

თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე შპს „სტორი ენერჯის“ 11.9 მგვტ/სთ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურისა („სტორი 2 ჰესი“) და 110 კვ ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე შპს „სტორი ენერჯის“ 11.9 მგვტ/სთ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურისა („სტორი 2 ჰესი“) და 110 კვ ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N38 (29.07.2021);
2. შპს „სტორი ენერჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N38 (29.07.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სტორი ენერჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სტორი ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი